

შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორი
ოთარი სიხარულიძე

ი. ს. ს.



შპს „თეგეტა რიტეილის“ დირექტორი
გრიგოლ ზარბაძე



შპს „თეგეტა აკადემია“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“

კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია
032 2 26 44 46

Info@tegetaacademy.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი კიკვაძე

ქ.თბილისი
2023 წელი

- I. სახელწოდება: ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
- II. სარეგისტრაციო ნომერი: 07119- პ
- III. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
- IV. საკანონმდებლო ბაზა:
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;
 - საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
 - სტანდარტი- ელექტრონული სისტემების შემკეთებელი;
 - ჩარჩო დოკუმენტი¹ - „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი“
- V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა : საბაზო განათლება
- VI. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც მსხვილ, საშუალო ისე მცირე საწარმოში, ასევე მსხვილ კომპანიაში ასევე შეუძლია დააფუძნოს კერძო სახელოსნო და იმუშაოს კერძო შეკვეთებზე ავტოტრანსპორტის ელექტრო და ელექტრონული სისტემების სერვისის მიმართულებით;
- VII. პროგრამის მიზანი: სატრანსპორტო სფეროსთვის მოამზადოს ელექტრონული სისტემების შემკეთებელი, რომელიც ასრულებს ავტომატური და ვარიატორული გადაცემათა კოლოფების ელექტრონული სისტემების, ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ელექტრონული მართვის, ბენზინზე და აირის საწვავზე მომუშავე ძრავის ელექტრონული ანთების სისტემის, გათბობა-კონდიციონერების ელექტრონული სისტემების, დაკიდების ელექტრონული მართვის სისტემების, დამუხტვა გაშვების სისტემების სერვისის სამუშაოებს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესების გათვალისწინებით.
- VIII. სწავლის შედეგები:
- პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- საერთო სწავლის შედეგები:
1. მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების, დაკიდების სისტემის საჭით მართვისა და სამუხრუჭე სისტემების, ტრანსმისიის და შიგაწვის ძრავების კლასიფიცირება;
 2. ჩაატაროს ზოგადი ელექტროტექნიკური და ელექტრონული გაზომვები;
 3. წარმართოს საქმიანობა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი წესების გათვალისწინებით;
 4. წარმართოს დამკვეთთან ეფექტური კომუნიკაცია;
- სწავლის შედეგები მსუბუქი ავტომობილის შეკეთების მიმართულებით:
1. მოახდინოს დაკიდების, საჭით მართვის, სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია;

¹ ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31/01 №91/ი-რედაქციით, ჩარჩო დოკუმენტში ცვლილების განხორციელების შესახებ

2. წიკითხოს და გაანალიზოს ბლოკ სქემები და პრინციპული სქემები;
3. მოახდინოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების, გადაცემათა კოლოფების, წამყვანი ხიდებისა და ამძრავების კლასიფიკაცია მუშაობის პრინციპების მიხედვით;
4. მოახდინოს შიგაწვის ძრავების კლასიფიკაცია აგებულების, ცილინდრების განლაგების, საწვავის ტიპებისა და ჰაერის მიწოდების სისტემის მიხედვით;

სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“

1. წიკითხოს ელექტრონული ნახაზები;
2. გამოიყენოს სარჩილავი სადგური;
3. განახორციელოს საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემის სერვისი;
4. განახორციელოს ძრავის ჰაერით და საწვავით კვების ელექტრონული სისტემის სერვისი;
5. განახორციელოს ძრავის შეზღუდვა- გაგრილების ელექტრონული სისტემების სერვისი;
6. განახორციელოს უსაფრთხოებისა და გატაცების საწინააღმდეგო სისტემის სერვისი;

IX. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 82 კრედიტი; არაქართულენოვანი სტუდენტების შემთხვევაში პროგრამის მოცულობა 97 კრედიტი;
- სავარაუდო ხანგრძლივობა: ზოგადი მოდულები და სავალდებულო პროფესიული მოდულები ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, ხოლო სამუშაოზე დაფუძნებული/პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება საწარმოში. თეორიული სწავლების პერიოდი კოლეჯში მიმდინარეობს 35 სასწავლო კვირა, ხოლო სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება (დუალური) საწარმოში განხორციელდება მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში.

X. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

ზოგადი მოდულები საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისათვის	
მოდულის დასახელება	კრედიტი
მენარმეობა 1	2
ინფორმაციული წიგნიერება 1	3
რაოდენობრივი წიგნიერება	2
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
სამოქალაქო განათლება	3
უცხოური ენა	4

ქართული ენა ²	
ჯამი:	17

საერთო პროფესიული მოდულები	
მოდულის დასახელება	კრედიტი
ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია	2
შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	3
ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები	4
დამკვეთთან ურთიერთობა	2
საზენკლო საქმის საფუძვლები	4
გაცნობითი პრაქტიკა - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალიზირებული ავტოსატრანსპორტის სერვისები	2
ჯამი:	17

1. მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ტრანსმისიის კლასიფიკაცია	2
2	დაკიდების სისტემის საჭით მართვის და სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია	3
3	ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები	2
4	შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია	3
	ჯამი:	10
კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდულები		
1	ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ელექტრონული მართვის სერვისი	3
2	ავტომატური და ვარიატორული გადაცემათა კოლოფების ელექტრონული სისტემების სერვისი	3
3	ბენზინსა და აირის საწვავზე მომუშავე ძრავას ელექტრონული ანთების სისტემის სერვისი	3
4	გათბობა-კონდიციონერის ელექტრონული და ელექტრონული სისტემების სერვისი	3
5	დაკიდების ელექტრონული მართვის სისტემის სერვისი	2
6	დამუხტვა-გაშვების სისტემის სერვისი	2
7	ელექტროტექნიკური ნახაზების წაკითხვა	4

² შენიშვნა: მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

8	სარჩილავი სადგურის გამოყენება	1
9	საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემების სერვისი	2
10	ძრავას ჰაერით და სწავლით კვების ელექტრონული და ელექტრონული სისტემების სერვისი	4
11	ძრავას შეზეთვა-გაგრილების ელექტრონული სისტემის სერვისი	2
12	უსაფრთხოებისა და გატაცების საწინააღმდეგო სისტემების სერვისი	3
13	ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების სერვისი	4
14	მექანიკურ გადაცემათა კოლოფების, გადაბმულობის და გამანაწილებელი კოლოფების ელექტრონული მართვის სისტემის სერვისი	2
ჯამი:		38

XI. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტების მინიჭება:

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია :

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით;

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
 - სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
 - მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
 - ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
 - ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური სამუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ექსტიკულაცია, ინტერვალ საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).
- მართლწერა
- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
 - ძირითადი სახვეწი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
 - პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
 - წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
 - არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
 - ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
6. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულურზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს თეგეტა აკადემიის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

XIV. საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაცია, რომელთანაც მემორანდუმების მეშვეობით უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:

შპს „თეგეტა რითელი“ (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 129)

დანართები მოდულის სახელწოდებების მითითებით:

დანართი 1 - მეწარმეობა;

დანართი 2 - ინფორმაციული წიგნიერება;

დანართი 3 - რაოდენობრივი წიგნიერება;

დანართი 4 - ინტერპერსონალური კომუნიკაცია;

- დანართი 5 -სამოქალაქო განათლება;
- დანართი 6 - უცხოური ენა;
- დანართი 7- ქართული ენა;
- დანართი 8 -ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია;
- დანართი 9 –ზოგადი ელექტრონიკის საფუძვლები;
- დანართი 10 –დამკვეთთან ურთიერთობა;
- დანართი 11 – ელექტროტექნიკური ნახაზების წაკითხვა;
- დანართი 12 - ტრანსმისიის კლასიფიკაცია;
- დანართი 13 – დაკიდების და სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია;
- დანართი 14- ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები;
- დანართი 15 - შიდაწვის ძრავის კლასიფიკაცია;
- დანართი 16 - გაცნობითი პრაქტიკა;
- დანართი 17 – შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა;
- დანართი 18 – ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ელექტრონული მართვის სერვისი;
- დანართი 19 – ავტომატური და ვარიატორული გადაცემათა კოლოფების ელექტრონული მართვის სერვისი;
- დანართი 20 – ბენზინზე და აირის საწვავზე მომუშავე ძრავის ელექტრონული ანთების სისტემის სერვისი;
- დანართი 21 - გათბობა-კონდიციონერების ელექტრონული და ელექტრონული სისტემების სერვისი;
- დანართი 22 - დაკიდების ელექტრონული მართვის სერვისები;
- დანართი 23 - დამუხტვა-გაშვების სისტემის სერვისი;
- დანართი 24 – საზეინკლო საქმის საფუძვლები;
- დანართი 25 – სარჩილავი სადგურის გამოყენება;
- დანართი 26 – საქის მექანიზმის ელექტრონული მართვის სერვისი;

დანართი 27 - ძრავის ჰაერით და საწვავით კვების ელექტრო და ელექტრონული სერვისი;

დანართი 28 – ძრავის შეზეთვა-გაგრილების ელექტრონული სისტემების სერვისი;

დანართი 29 - უსაფრთხოების, გატაცების საწინააღმდეგო და განათების სისტემების სერვისი;

დანართი 30 - ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების სერვისი;

დანართი 31 -მექანიკურ გადაცემათა კოლოფების, გადაბმულობის და გამანაწილებელი კოლოფების ელექტრონული მართვის სერვისი;